გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ქვევლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893  სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი  1877—1893


კავკავის ქართულ სკოლაში ყმაწვილების მიბარება მომავალ სამოსწავლო წელში შეიძლება 19 აგვისტოდამ 1 სექტებრამდის. ახალ შემოსულები უნდა იყვნენ არა ნაკლებ შვიდის ანუ რვა წლისა და სკოლაში შემოსვლის დროს უნდა მოიტანონ მღვდლისაგან დაბადება-ნათლობის და ექიმისაგან ყვავილის აცრის მოწმობები. სწავლა, ახალ შენობის მთლად დაუმთავრებლობისა გამო, დაიწყება და ცოტა ხნით გაგრძელდება ძველ შენობაში, იქვე უნდა მოიყვანონ ბავშვები სკოლაში მისაბარებლად.

კავკავის სკოლის გამგე-მასწავლებელი
ლ. ბოცვაძე

(3—2)

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

აგვისტოს 7 ს, დილით, მიხეილის საავადმყოფოში სამი ხოლერით ავადმყოფი იყო; სეროფ ოსიფოვი, ივანე კოჩეტოვი და დავიდ ახნაზაროვი.

7-ს აგვისტოს ხოლერით ავად გახდნენ: სპარსეთის ქვეშევრდომი რიასური ახმედ-ოღლი, რომელიც მუშაობდა პროხოროვის აგურ-ხანაში, ავჭალის ქუჩაზე, პოლიციის მეათე განყოფილებაში. გუმბრის მაზრის მცხოვრებელი ოჰანეზ მათოსოვი, რომელიც სცხოვრობდა სურფ-კარაპეტის ქუჩაზე და ავად გახდა მიხეილის ქუჩაზე, ბერიევის სახლში № 134. ამ ორის ავადმყოფის გარდა მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს ხოლერით ავადმყოფი ფრანც ლანსკი, პოლიციის მეათე განყოფილებიდგან.

იმავე დღეს მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრებელი დავით ახნაზაროვი, რომელიც წინა დღეს ავად გახდა.

7-ს აგვისტოს ხოლერით ავად გახდა ამიერ-კავკასიის რკინ-ს გზის უმთავრესის სახელოსნოს დურგალი მანგლისის მცხოვრებელი პეტრე მარკელოვი, რომელიც სცხოვრობდა ანდრეევის ქუჩაზე, მაზოევის სახლში № 60.

8 აგვისტოს დილით მიხეილის საავადმყოფოში სულ 5 ხოლერით ავადმყოფი იყო.

7 აგვისტოს საღამოზე დიდ ტალახის ქუჩაზე ნაზაროვის სახლში გარდაიცვალა ტფილისის მოვაჭრეს მეუღლე ეკატერინე მირზოევისა, რომელიც წინა დღეს ხოლერით გახდა ავად დ თავის სახლში სწამლობდნენ. ტანისამოსი და ლოგინი მირზოევისა დასწვეს, სადგომში დეზინფექცია მოახდინეს და გარდაცვალებული 8 აგვისტოს დაასაფლავეს დაბექდილ კუბოთი.

აგვისტოს 7-ს ხოლერით ავად გახდა ფრიდრიხ მადერი, რომელიც სცხოვრობდა ნავთლუღში, ბარბარეს ქუჩაზე, დავიდოვის სახლში. იმავე დღეს ხოლერით ავად გახდა საბებიო ინსტიტუტის მოწაფე ბარბარე საველიევისა, რომელიც სცხოვრობდა კვიანსიმოვის სახლში, ოლგას ქუჩაზე.

აგვისტოს 8 ს ხოლერით ავადმყოფი ოჰანეზ მათოზოვი გახდა ავად მიხეილის ქუჩაზე, ბერიევის სახლში, და მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ქალაქ ფოთში 4 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა სამი კაცი, ხუთი ავადმყოფი მორჩა, ორი გარდაიცვალა და 5 აგვისტოს დარჩა 8 ავადმყოფი.

ფოთშივე აგვისტოს 6 კიდევ ავად გახდა ხოლერით ორი კაცი, გარდაიცვალა ორი და დარჩა რვა ავადმყოფი.

## ახალი ამბავი

*** ბ-ნმა ტფილისის პოლიცმეისტერის მოადგილემ უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, რომ თუ ვინმე ღარიბთაგანი ავად გახდა თქვენს განყოფილებაში, მაშინვე მოიწვიეთ განყოფილების ექიმი, რომელმაც უნდა უფასოდ უწამლოს ღარიბ ავადმყოფსაო. ამას გარდა ღარიბებს სადეზინფექციო საშუალება უფასოდ უნდა მიეცეთო.

*** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის ბრძანებისამებრ ტფილისის პოლიციმეისტერის მოადგილემ უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, რომ მტკვარში ბანაობის ნებას ნურავის მისცემთ, რადგანაცა ქალაქში ხოლერა გაჩნდაო.

*** ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს ი. ი. წინამძღვრიშვილის თაოსნობით ამ დღეებში ავჭალის ქუჩაზედ გაიმართება უფასო სასადილო და საჩაიე. სასადილოდგან ღარიბ ხალხს სახლებშიაც მისცემენ სადილს. ბ-ნ წინამძღვრიშვილის სურვილს ბევრმა თანაუგრძნო და ზოგმა ფული შესწირა, ზოგმაც სასადილოს მოსაწყობად საჭირო ნივთები.

*** ამ დღეებში ტფილისის ვიცე-გუბერნატორი გრაფი ტიზენ-გაუზენი ორ-სამ ნაცნობით დასეირნობდა მუშთეიდის ბაღში. შემდეგ ერთ სტოლთან დასხდნენ და ლაპარაკობდნენ. უცბად ამ სტოლთან მივიდა მუშთეიდის ბუფეტის პატრონი ბ-ნი სვეტოზარი და უზრდელად უთხრა: ან აქედგან წადით, ან რამე მოითხოვეთ, [illegible]. გრაფი ტიზენგაუზენი და იმისი ნაცნობნი წამოდგნენ და წავიდნენ. ცოტა ხანს შემდეგ მოვიდა პოლიცია და ოქმი შეადგინა. ბუფეტის პატრონს ღამის 12 საათს შემდეგ ვაჭრობა სრულიად აეკრძალა.

*** შაბათს, 7 აგვისტოს, ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლემ გაარჩია საქმე მელქო გორგიჯანოვისა, ბაღის „სტრელნას“ პატრონისა, რომელსაც რესტორანში უვარგისი საჭმელი უპოვეს და სამართალში მისცეს. მომრიგებელმა მოსამართლემ ბ-მა წინამძღვრიშვილმა მელქო გორგიჯანოვი დამნაშავედ სცნო და სამის თვით პოლიციაში დაპატიმრება მიუსაჯა.

*** ხმა დადის, რომ ქუთაისის ქალაქის მმართველობამ ხელ-ახლავ დაიწყო მოლაპარაკება ბ-ნ ი. ს. ყორღანოვთან, ქ. ქუთაისში ცხენის რკინის გზის გამართვის შესახებ.

*** მოსკოვიდგან იუწყებიან, რომ 29 ივლისს იქ გარდაცვალებულს ერევნის მცხოვრებს გ. ხ. მელიქ-შახნაზაროვს უანდერძნია საქველმოქმედო საქმეთათვის 6000 მან. სახელდობრ: ტფილისის სომეხთა სასულიერო სემინარიისათვის 2000 მან. ეჩმიაძინის აკადემიის სასარგებლოდ 1000 მან. ეჩმიაძნის მონასტრის შესაკეთებლად 1000 მან., ქ. დარუბანდის ღარიბ მცხოვრებთათვის დასარიგებლად 500 მან. და ქ. დარუბანდის სომეხთა ეკკლესიის სასარგებლოდ 500 მან.

*** 4 აგვისტოს ამიერ კავკასიის რკინის გზით გაატარეს ბაქოზედ სპარსეთში გასაგზავნად 282 ფუთი ვერცხლი და 5 აგვისტოს კიდევ 132 ფუთი.

*** 7 აგვისტოს პოლიციის მე 8 განყოფილებაში, დესიმონოვის მოედანზედ, სკოროხოდოვის სახლში გარდაიცვალა ხოლერით მეეტლე ლუკიან ლოსკუტოვი, რომელიც ამ ორის [illegible] წინათ გახდა ავად. მკურნალს საავადმყოფოში უნდა გაეგზავნა, მაგრამ ვერ მოასწრეს და ღამის 1 საათზედ გარდაიცვალა.

*** ს. ხაშური: 8 აგვისტოს ხაშურმა დაჰკარგა ყოველივე თვისი კარგი ღირსება; აქ ყოველგვარი უსუფთაობა სუფევს და ყოველგვარი დამპ ლი ხორცეულობა იყიდება. ბაღში მუსიკა უკრავს და იქ ლამაზი ქალები იკრიბებიან. ამ ქალების წყალობით აი რა საზიზღარი ამბავი მოხდა გუშინ საღამოს: ერთს ვაჟ-ბატონს სადილაზე დაეპატიჟნა ორი ქალი, რომლებიც მუდამ ამ ბაღში ატკბობენ საზოგადოებას. საღამოს 5 საათზედ სურამიდან ჩამოსულიყო აზნაური გ. ყიფიანი, რომელიც ბორჯომს მიემგზავრებოდა და, ვიდრემდინ ეტლს იშოვნიდა, ამ ბაღში შესულიყო. დაინახა თუ არა მოქეიფე ვაჟ-ბატონს, ძრიელ აღელვებულიყო და ებრძანებინა, ეხლავე აქ მომგვარეთ საქმე მაქვსო. ბ-ნ ყიფიანს ენახა, ვისთანაცა აქვს საქმე, და არ მისულიყო. მაშინ ვაჟ-ბატონს სხვების დახმარებით დაეჭირა ბ-ნი ყიფიანი, დაეწყო ცემა და იმ ღამეს არსად გაეშვა. მეორე დღეს გამოფხიზლებულა ვაჟბატონი და ბოდიში მოეთხოვნა, მაგრამ ბ-ნ ყიფიანს ეს არ მიეღო და მკვდარ-ცოცხალი ტფილისს წასულა საჩივლელად.

*** გაზეთს „Нов. обоз.“-ს შეუტყვია, რომ კავკასიის მრავალ ქალაქებში სომეხთა შორის იკრიბება დელეგაციები სრულიად სომეხთა კათალიკოსის მკრტიჩის მისაღებად ქ. ტფილისში. ამასთანავე ხელის მოწერაც არის გამართული და ფულს აგროვებენ, რომელიც უნდა წარუდგინონ კათალიკოსს ეჩმიაძინის მონასტრის შესაკეთებლად და საზოგადოდ ამავე მონასტრისთვის მოსახმარებლად.

*** სომხურ გაზეთს „არძაგანკს“ მოსვლია ქ. ვენიდგან შემდეგი დეპეშა: „დღეს, 6 აგვისტოს, სრულიად სომეხთა კათალიკოსი ქ. იაფადგან ქ. ვენას გაემგზავრა. აქ დიდი მზადებაა მის დასახვედრად“.

*** იგივე გაზეთი იუწყება, რომ ბოლოს დროს მცირე აზიიდგან, განსაკუთრებით ალაშკერტის პროვინციიდგან, დიდ ძალი ხალხი მოდის თურმე ყარსის ოლქში დასასახლებლად. გადმოსახლდა უკვე 150 სახლობა. გადმოსახლებულნი ამბობენ, ძლიერ შეგვაწუხეს ერთის მხრივ ოსმალთა და ქურთებმა და მეორე მხრივ თვით ადმინისტრაციამაო. გადმოსახლებულთ მიჰმართეს კავკასიის მთავარ-მართებელს და სთხოვეს, ადგილი მოგვეცით დასასახლებლადაო. თუ ეს თხოვნა შეწყნარებულ იქმნა, ოსმალეთის 35

## ფელეტონი

### ქიზიყის ავ-კარგი

ჩვენი დანაშაულობა.—რომელ გზით უფრო ადვილად შეიძლება ხალხის ერთობ წინ წაწევა.—ტეტია-ბობოლები ჰღუპავენ სოფელს.—მამასახლისს სოფლის აშენებაც შეუძლიან, დაქცევაც.—მგლები მწყემსებს ემუქრებიან.

საქართველოს ყველა კუთხეებზედ უმთავრესი კუთხეა ქიზიყი და, მაშასადამე, უმთავრესი ყურადღების ღირსიც იგი უნდა იყოს მწერლობისაგან. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ საამისო ბედს არ მოსწევია ქიზიყი: მისი ცხოვრება დღესაც ნისლით დაბურულ ზღვას ეგვანება, რომლის დაფარულ სივრცე-სიღრმეში უანგარიშო უსამართლობა დუღს და გადმოდის დღე და ღამე; ამგვარსავე სურათს წარმოადგენენ საქართველოს დანარჩენი კუთხეებიც, მცირე რამ განსხვავებით. ამ კუთხეებიდამ უფრო ხშირად ისმის: კარაპეტამ კირილე შეჭამა და ივან პეტროვიჩმა კარაპეტა ჩაყლაპაო, და სხვანი. მაგრამ ჭამა-ყლაპა, უწეს-რიგობა და უსამართლობა უფრო მატულობს დღითი-დღე, რადგანაც ცარიელ ტკივილების თვისებათა გამოქვეყნება ვერას უშველის ავადმყოფებს თუ კი სამკურნალო წამლებითაც არ უაქიმებენ იმათ გადამდებ სენ-სატკივარს.

ავიღოთ მაგალითად ხალხის ოფლით ნაწვავ-ნადაგი წლის მოსავალი—ეს ერთად-ერთი ავლადიდება მისი და უმთავრესი წყარო მის გონებრივ წინმსვლელობისა. ვის ენას არ უამბია და ვის კალამს არ უწერია, თუროგორ ჰღუპავენ ხალხის მაცხოვრებელ ჭირნახულს ხალხის ჭამია ორ-ფეხა ნადირები, რომელთა მიზეზით დღესაც ქონება-გონების სილატაკისაგა გულ-საკლავად იტანჯება ჩვენის მთვალტანჯულ ერის უმრავლესობა, მაგრამ ან გარიშ-მიუწვდომელთაგან ასი ათასჯერ ნათქვამ ხალხის ჭირ-ვარამს-კი ერთხელაც არ დასდებია სათავეში შესაწყვეტი წამალი, რადგანაც გმირულის თავ-გამოდებით არ უზრუნიათ ბ არ უმოქმედნიათ და არც არავინ ვზრუნავთ და ვმოქმედობთ დაუცხრომლად ამ ქვეყნის გამანადგურებელ ჭირის გასანადგურებლად.

აი, ამაშია კიდეც ჩვენი დიდი დანაშაულობაც, თორემ, მოგეცათ ღვთის წყალობა, აქამომდე მთელი ქართველობა ქონებით ძლიერი შეიქმნებოდა თავის უცალ-ბადლო ოქროს მთა-ბარში და მის ქონების სიმდიდრეს, მისივე გონების სიმდიდრე და სიძლიერეც თან მოჰყვებოდა.

რომ ეს დიდი დანაშაულობა თან არ ჩავიყოლოთ საფლავში და ჭკუა ბრწყინვალე მომავალ თაობის ყბად ასაღებად არ [illegible], ეხლა მაინც დროებით უკან მივაყენოთ ზოგიერთი მაგრე რიგად არ საჭირო ცხოვრების კითხვებიც, კერძო პიროვნული შენ-ჩემობაც, ურწმუნო კაცუნების უმეცრული ურწმუნოებაც, იუდას კერძების გულშურიანი ენა-პირის გველობაც, ხალხის ყოფა-ცხოვრების არ მცოდნეთა უდღეო გაბერილობაც, უფერულუგემური პოეზიაც, წყალ-წყალა ამბებიც და ყველანი, ვისაც-კი მართლად გული შესტკივა გონება-ქონების სილატაკისაგან გაწყალებულ მოძმეთა უმრავლესობისათვის, იმის ცდას შევუდგეთ მხარი-მხარ მიცემულნი, რომ ძმურის ერთობის ძალთა ძლიერებით და მცოდნე კაცთა რჩევა-დახმარებით ყველა სოფელმა გაიხსნას თავის საკუთრებად ისეთი ბანკი, რომელიც-კი სოფლის ალებმიცემობის რამდენსამე ასსა და ათას თუმან მოგებას სოფელსავე დაუბრუნებს ყოველ-წლივ ბევრ-გვარ საკეთილო-საზოგადო საქმეთა დასაბადებლად და ქვეყნის გონება-ქონების გასამდიდრებლად.

**

წინედ ქუდიანი და უქუდო სკოლების გამრავლებას უქადაგებდა ხალხს და, რადგანაც დარწმუნდნენ ხალხს საიმისო შეძლება არა ჰქონ-

სოფლის სომხობა აპირობს კავკასიაში გადმოსახლებას.

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**აბჟუვა ანუ კოდორი** (განყოფილება სოხუმის ოლქისა). თითქმის სრული ერთი თთვე წვიმა არ მოსულა ჩვენსკენ. სიმინდის მოსავალს მშვენიერი პირი უჩნდა პირველად, მაგრამ ამ გადაჭარბებულმა გვალვამ დიდად დააზიანა: ზოგან, განსაკუთრებით ზღვის პირებად, იმ ზომამდე, რომ მათი გამობრუნების იმედიც აღარ არის, ზოგან მთლად დამშევისაც ეფიქრებოდათ. დღეს, 5 მარიამობისთვეს, ცა მოიღრუბლა, ნელი წვიმაც დაუშვა, იმედია გაავდარდეს.

ჩვენში ვერც სახელ-განთქმული „ადესა“ გვპირდება კაი მოსავალს ამ წელს. ჯერ ერთი, რომ მას კვლავინდებურად არ ასხია, მეორეც არა მწიფდება კარგად, აგერ მარიამობაც მოდის, მაგრამ ყურძენს ჯერ „წითელიც არ გამორევია.“

ქურდობამ ხომ მეტად შეაწუხა ხალხი. ქურდობა-კი არა, აკლებაა სწორედ, ნამდვილი აკლება. ასე „გაცხელებულია“ ქურდობა ზაფხულს, როცა აფხაზეთში საზოგადოდ ქურდობა ყოველთვის უფრო მინელებულია და როცა საუკეთესო ცხენები, თხა-ცხვარი და ხარებიც გარეკილია მთებზე. თუ-კი ქურდები ამას სჩადიან ზაფხულს, შემოდგომაზე ისინი მთლად აიკლებენ ქვეყანას. ვერა ეშველა-რა ამ ქურდობას. მოგეხსენებათ რაღაც წესდებულებაც მოქმედობს ჩვენში მის მოსასპობად, მაგრამ ამ წესდებულებას, თუ ზარალი არა, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ამ წესდებულების ძალით, „ქურდებმა“ (ამათი სია შედგენილია, ხოლო როგორ?—ამაზე აქ ვერას გეტყვით) უნდა დააკმაყოფილონ დაკარგულ საქონლის პატრონები. მარტო იმიტომ, რომ ქურდს აზღვევინონ რამე, ის ქურდობას თავის დღეში არ დაიშლის, თუ ამასთან დასჯისა არ ეშინია, ამასთან სიის გარეშეც ბევრის-ბევრია დარჩენილი ქურდები, ესენი იპარავენ და ან რა ენაღვლება იმათ, რომ მათ მიერ მონაპარი საქონელი ჩაწერილ ქურდებს აზღვევინონ. ეს ჩაწერილი ქურდებიც ერთისა და იმავე ხარისხისა როდი არიან. ისინი განიყოფებიან (ეს კლასსიფიკაცია გახლავს) პირველ, მეორე, მესამე და სხვ. ხარისხოვნებად. ვსთქვათ, პირველის რიგის ქურდები ხუთია და დანარჩენები-კი—35. ეგ ხუთნი იმდენს მოიპარვენ, რამდენსაც ყველა 35. ავიღოთ მაგალითი. დაიკარგა ცხენი, ღირებული 80 მან. რად არ უნდა იპაროს პირველ ხარისხის ქურდმა, თუ მის მიერ ჩადენილ დანაშაულობისათვის სხვები იხდიან 78 მანეთს და თვითონ მარტო ორსა. ხშირად ისეც გამოდის რომ „მაგარი ქურდი“ ბისტსაც არ იხდის. ჩვენ ამ წესდებულების გარჩევაში ვერ შევალთ დაწვრილებით და ეს არც არავისთვისაა საინტერესო. თუ ქურდობა გახშირდა ჩვენში ეს მაგდენად წესდებულების უვარგისობით არ აიხსნება. არც თუ სრულად და რიგიანად ასრულებენ წესდებულების მოთხოვნილებას. ავიღოთ მარტო ერთი მუხლი: თუ რამე დაიკარგა, ქურდებს გადავახდევინოთ. სხვა-კი დაუვიწყნიათ. ამ ერთმა მუხლმა ქურდობა არა თუ არ მოსპო, კიდევაც გაახშირა. სხვა რომ არა იყოს-რა, წესდებულების ძალით, ქურდობით დაზარალებული შვიდისა თუ ცოტა მეტის დღის განმავლობაში უნდა იქმნას დაკმაყოფილებული, ნამდვილად-კი ერთის წლის შემდეგაც არ აკმაყოფილებენ. ამ დროს განმავლობაში იმდენი ქურდობა მოხდა, რომ თვითო საზოგადოებაში დაკარგულ საქონლის ფასი ორ-ორ ათასამდე ადის. ამდენის ფულის აღება ვერ მოხერხდა შინაურის წესით. ამიტომ ადმინისტრაციამ დაჰგზავნა ყაზახ-რუსები для производства взысканія, რომლებიც ტვირთად აწვებათ საზოგადოებას, ხოლო [illegible]

გზა-ტკეცილის კეთება ოჩემჩირესა და კოდორს შუა უკვე დაიწყეს და ეხლა გაცხარებული მუშაობაა. თითო მოსახლეს ახდევინებენ ამ გზის გასაკეთებლად ცხრა-ცხრა მანეთს, რაიცა ძალიან უჭირთ მით უმეტეს, რომ წელს სიმინდს რიგიანი ფასი არა აქვს.

5 აგვისტო.
1893 წ.

---

## წერილი მურღულიდგან

(ართვინის ოლქი)

### I

მურღული სძევს ლივანის ჩრდილოდ. წინ ჭოროხი ჩამოუდის. მურღული იწყება ბორჩხის ზემოდ, სოფ. წითურეთის ახლოს, სადაც მურღულის ღელე ჭოროხს ერთვის. აქ ქართველ მაჰმადიანების სოფლებია და შემდეგ ოსმალოს საზღვარს ახლო ლაზების სოფლები იწყება, რომელთა უმეტეს ნაწილს ქართული სახელები ჰქვიან. მურღული მაღლა სდგას დანარჩენს ადგილებზე ჰაერით, წყალით, მთებით, ხელუხლებელ ტყეებით და სხ. მურღულის დახურული ტყეები სავსეა ბროწეულით, ლეღვით, წაბლით, კაკლით; ბზის ხეებიც მრავლად არის და ამაებს გარდა აქ ისეთი მცენარეებიცა ვნახე, რომლებიც სხვაგან არსად შემხვედრია. მცოდნე კაცისათვის მეტად საინტერესო უნდა იყოს. მადნებიც ბევრი ყოფილა სპილენძისა, რკინისა და სხ. მადნებს, ინჟინერები სინჯავენ ეხლა.

მურღულის ხალხი, როგორც სხვა ქართველი მაჰმადიანები, ძველათგანვე მხოლოდ მეურნეობას და მევენაობას მისდევენ. ამათში ვაჭრობა დახხვა რამ წარმოება სულ არ იციოდნენ, მაგალითად, როგორც ამათ მოსაზღვრეთ მდებარე ლაზებს შენიშვნენ ჩვენი მემატიანენი, რომ ლაზები სალებ-მიცემობასაც მისდევენო. ძველად ვიდრე საქართველო ფეხზედ იდგა და ეს ნაწილიც საქართველოს სამცხე-საათაბაგოს ეკუთვნოდა, მინამდის ამ ერში, როგორც ვიცით ჩვენ ეს ზედ მიწევნით და რასაც სხვებიც მოწმობენ, იყვნენ გამოჩენილნი გმირნი, ომში მხნენი ერთგულნი და ყველა საქმეში თავდადებულნი.

ამბად არის დარჩენილი, რომ მურღულში ქრისტიანობა ადვილად არ დაუთმეს ოსმალსაო. ეს ერი ოსმალოს მთავრობას დიდხანს ეურჩა და მკაცრს წინააღმდეგობას უწევდა სჯულის გამოცვლაზე.

ამბობენ, რომ სწორედ ეს ურჩობა გახდა იმის მიზეზად, რომ ოსმალოს მთავრობამ ამათ ძველათგანვე შეუკრა აქეთ-იქით გასავალი გზები, დაკეტა შიგ ესენი და ისე მოამწყვდია, როგორც ციხეში ტყვენი-პატიმარნი. ოსმალთ არც ეს გაუძნელდებოდათ, რადგანაც მურღულის სურათი სვანეთის მსგავს სურათს წარმოადგენს. ერთი შესავალი ჭოროხის ნაპირს, მურღულის ღელესთან იწყება და მეორეც ლაზისტანისკენ გადის. ოსმალეთმა ნელ-ნელა შეაპარა თავის ბრჭყალები მურღულს ქართველთა სარწმუნოება მოსპო, მათი ზნე-ჩვეულება და სხვა.

ამას შემდეგ მიჰყო ხელი და საცა რამ ნაშთები იყვნენ, ან ეკლესიები, სულ დაანგრევინა თურმე. ამით ყრილობდნენ იმათ ჯვარს, ვინც თავის სარწმუნოებას მტკიცედ ემსახურებოდა და მაჰმადიანობას ეურჩებოდა. ამის მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ აქ ძველის შესანიშნავ ნაშთების რიცხვი ერთობ მცირეა. მურღულელნი უფრო ჩვენს მთიულებსა ჰგვანან.

ამბობენ, რომ, ვიდრე მურღულის ერი სჯულს გამოიცვლიდა, მინამდის მათგანი ბევრი მოკვდა თავსაკვეთ კოშკშიაო. ეს თავსაკვეთი კოშკი დღესაც უნდა იდგას მურღულის სადმე შეუვალს ბნელს ტყეში. ეს ამბავი გარდმოცემით იციან, მაგრამ თვით კოშკი-კი არავის უნახავს, თუმცა ერთმა სთქვა, მე ვიცი ისეთი კოშკი, რომელსაც ერთ ალაგს თავსაკვეთი ქვა აქვს გაკეთებულიო. სად არის ეს კოშკი?—როდი სთქვა. ამბათ არის დაშთენილი, ვითომც მეორე კოშკი უნდა იყოს ისე მაღალი კოშკი, რომელიც მურღულის წყალს აქეთ, სოფ. წითურეთის წინ, ერთ კლდეზედ სდგას და რომელ კოშკსაც აქაურნი თამარ მეფის კოშკს უწოდებენ. ოსმალთ ამ კოშკშიაც უჭრიათ თურმე ქართველებისათვის თავი და აქედან მერე თავი და ტანი ჭოროხში უყრიათ. მე დარწმუნებული ვარ, მურღულში რომ რიგიანად მოიძებნოს, მეორე თავსაკვეთ კოშკს ჩვენ ადვილად ვიპოვნით, თუ არ დაუქცევიათ ამ ბოლოს დროს.

ასე და ამისთანა წვალებით, ხოცვით და ჟლეტა-წყვეტით, დასთმეს სჯული. ჩუმად დაიარებოდნენ აქაიქ ძველს ეკკლესიის ნანგრევებში და საიდუმლოდ ლოცულობდნენ. ოსმალი გაუტეხელ მურღულელებში მალე [illegible] რომ ლაზები არ მიემხრო. ლაზისტანიდამ ოსმალი პირდაპირ მურღულში შემოსულა და ამათ მაშინათვე მურღულის შესავალი კარი დაუკეტიათ. მურღულიდამ ლივანაში-კი მალე ვერ შემოუდგამთ ფეხი. ერთის ლაზელის ხოჯის სიტყვით, ოსმალნი ლივანაში მაქრიალის გზით შევიდნენ და შეიტანეს მაჰმედის სჯულიო.

ლივანის დაჭერის შემდეგ-კი მურღულის ხალხიც გამტყდარა, დაღალულ-მოქანცულა ბევრის ბრძოლით და მერე, როგორც ესენი ამბობენ, „შესრულებულა გამჩენელის ღმერთის ბრძანება“ და მურღულელნი ისე წმინდად გათათრებულან, რომ ბოლოს ყველაზე მეტად შესჯავრებიათ არამც თუ ძველი სჯული და საქართველო, არამედ სიტყვაც-კი „ქართველი“. ამათში პირველად ლაზისტანიდამ მოსული ხოჯები და მოლები ჰყოლიათ, მერე თითონაც ნელ-ნელა უსწავლიათ და ამათშიაც გამოჩენილან მოლები და ხოჯები. ამ დროს ამათში იწყო ქართულ ცხოვრების ზნე-ჩვეულების ამოვარდნამ: მოისპო მევენახობა, ხვნა და თესვა, პირუტყვების მოშენება და სხვ. თათრობაში ესენი სიმინდის და სხვა რამის კეთებას ძლიერ მცირედ მისდევდნენ, იმდენს, რაც მათთვის იყო საჭირო. მუსულმანისთვის ლოცვა არის საჭირო და არა ჭამა სმაო.

პირველ ხანებში ლაზელი ხოჯები მურღულელებს ასწავლიდნენ, რომ, ოღონდ დღეში ხუთჯერ-კი ილოცეთ და მუშაობა თქვენთვის საჭირო არ არისო; სამუშაოდ აგერ, აი ის გურჯები არიან დანიშნული, რომელნიც არ თათრდებიანო, იმათ უნდა იმუშავონ და თავიანთი ნამუშავარი თქვენ გაძლიონ, ამით თქვენ უნდა არჩინოთ თქვენი წმინდა თავიო და შრომის მაგიერ დღეში ხუთჯერ უნდა ილოცოთო. ასეთმა დარიგებამ ეს ხალხი მეტად გაათამამა, ქრისტიანობას არ უსვენებდა, ძარცვა-გლეჯით ლივანელებს საქმე გაუჭირა.

ოსმალმა მურღულელთ დიდი ერთგულება შეამჩნია და ამიტომ თავიანთ ხეობის გამგეობა თვით მურღულელთ ჩააბარა. მათ დაუნიშნეს მხოლოდ მეტად გამჭრიახი ფანატიკოსი სასულიერო კაცნი და ამ სასულიერო კაცთა მეოხებით მურღულში სრულიად ამოვარდნილა ქრისტიანული ჩვეულებანი და ქართული სიმღერებიც-კი გამქრალა, თუმცა მურღულელი ძველად ძლიერ განთქმული ყოფილა სიმღერით, ამათი ჰანგი ყველასთვის მოსაწონი ყოფილა. ხოჯებს ამაზედ ჯავრი მოსვლიათ და ხალხი დაურწმუნებიათ, რომ ვინც ქართულად იმღერის, ის სჯულის მცნებას დაარღვევს და მას მაჰმედი სამოთხეში აღარ შეუშვებსო. ქართული სიმღერები პირველად აქ ამოვარდნილა, სხვა მხარეებში-კი ეს ისე ვერ მოხდა, მაგალითად, თუნდ აჭარაში, თუმცა მოლები და ხოჯები აქაც ჰქადაგებდნენ ამის წინააღმდეგ. ამათის ფიქრით, მაჰმადს მარტო ქართული ხმები ეჯავრება. მაგრამ სიმღერის მოსპობა არც ეგრე ადვილია, არ შეიძლება ცოტა რამ მაინც არ დარჩეს ხალხში. ამ დღეებში ერთ ხოჯას ყანაში ნადი ჰყოლია, მუშებს თავიანთებურის ქართულის ხმებით დაუწყვიათ ყანურის მღერა, ამ სიმ-

---

და, დღეს ხალხის მეურნეობის გაუმჯობესობას ჰქადაგებენ. მაგრამ კიდევ ავიწყდებათ, რომ ხალხის მეურნეობის საზოგადოდ განკარგებასაც ქონება ეპირება, და ამგვარ თუ სხვაგვარ საკეთილო საქმეთა ყველგან [illegible] ცემობის ყველგან ძირიანად შეცვლას შეუძლიან—ამას ამტკიცებს თვით ხალხისავე აწინდელ ყოფა-ცხოვრების ზედმიწევნით შესწავლა ყოველმხრივ—უიმისოდ-კი მდაბიო ხალხის განათლებაც და მისი მეურნეობის განკარგებაც კიდევ კუს ნაბიჯით იბობლებს ჩვენში და თვით იმათგან მოტანილ სიკეთესაც-კი კიდევ და კიდევ ქვეყნის ჭამია კერძო მოვაჭრე მოვახშეები ჩაიდებენ უძირო ჯიბე-მუცელში, თუ-კი ხალხის ცხოვრების სათავე, ფულ-ნივთის ალებ-მიცემობა, ისევ ხალხისავე დასალუპად იქმნება მოწყობილი და ძირიან-ფესვიანად არ შეიცვლება ყველგან მოწინავე ინტელიგენციის თავგამოდებულ მეცადინეობით.

დიაღ, ჩვენი ერი მაშინ წაიწევს [illegible] ინტელიგენცია ქალაქებიდან სოფლებს მიატანს საგმირო მოქმედებისათვის. ქვეყნის დასაბამიდან დღევანდლამდე რაც-კი მთელ დედამიწის ზურგზედ ახალი კეთილი რამ გაკეთებულა და გამრავლებულა ანგარიშ-მიუწდომელ მდაბიო ხალხთა შორის—ყველა ეს კეთილი საქმენი მცოდნე კაცთა რჩევას, დარიგებას, ჩიჩინს, თავ-გამოდებას, მაგალითს, მიბაძვას, დახმარებას, საკეთილო ძალ-დატანებას და დაუცხრომელ ენერგიის უძლევთა ძალთა [illegible] დაუბადნია—ნურას დროს ნუ დავივიწყებთ ამას და, გარდა შეუძლებელისს, შეუძლებელს ნურას დავარქმევთ, ჩვენდა გასაწბილებლად. ამას რა სჯობია, შორს გამჭვრეტელის სურთხილით ვზომოთ, ვსწონოთ და ვარჩიოთ: რომელ გზით უფრო ადვილად შეიძლება ხალხის ერთობ წინ წევა.

**

მამასახლისობა დიდი მოვალეობაა სოფელში: მამასახლისს სოფლის აშენებაც შეუძლიან, დაქცევაც, და ამისათვის დღეს მთავრობაცა და ქვეყნის გულ-შემატკივარი კაცებიც დიდ ყურადღებას აქცევენ მამასახლისების მოქმედებას ქვეყნის საბედნიეროდ, ავის დასასჯელად და კეთილის დასაჯილდოებლად.

ორი სიტყვა იმაზედაც, თუ რა თვალით უყურებენ დღეს ქიზიყში სოფლის ჭამია გაუთლელები ქვეყნის გულ-შემატკივარ კაცებს. ავიღოთ საყურადღებოდ ისევ ქვემო-მაჩხანი. აქ ამ ჟამად ზოგი ერთი წურბელავაჭარი, იმათი სამჭრაქა დედაკაცები, გოგოები და ბიჭები ისე გაათურებულან, რომ ნუ გაიგონებ ყურო და ნუ გამოიტყვი ენავ, რა უმეცრულ მუქარას და ბრიყვულ ცილით აღსავსე ლანძღვა-გინებასაც ისინი უთვლიან მღვდელს, მასწავლებელს, საზაფხულოდ მოსულ ინტელიგენციას იმ მიზეზით, რომ რად აქვეყნებენ ვაჭრების ოინებს და რად არიგებენ ხალხსაო.

საცინარიც არის და საწყინარიც, როცა არაწმინდანი ბრიყვულის მუქარით ურისხდებიან მღვდელ-მასწავლებლებს: რათ უქადაგებთ ხალხს სწორე გზაზე სიარულს და რატომ მის ნაცვლად მგლების, ავაზაკების და სათოფეების პატივის ცემას არ ჩააგონებთო!.. ღმერთო ჩვენო, იმასაც მოვესწარით რომ მგლებს ენაც ამოუდგამთ და მწყემსებს უშიშრად უყვირიან მუქარით: ჩამოგვეცათ! ჩვენ ნებაზედ უნდა ვაჭამოთ ცხვრებიო!..

ვინ იცის, ჩვენო საძაღლ-ღორედ გამხდარო ქვეყანავ, შენ როდის-ღა მოგადგება მეცხრამეტე საუკუნის დიდი ნათელი ჭეშმარიტებისა, აღმადგენელი დაჩაგრულის კეთილისა და შემმუსრავი თავ-გასულ ბოროტებისა? ეს-კი ცხადია რომ გონებით მიძინებულ სოფლების ასეთი ამბები ნიშანია ქვეყნის გამოფხიზლებისა, რომლის წყალობით კეთილი გამარჯვებას ვერ ასცდება და ბოროტი დამარცხებას.

დ. მაჩხანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღერაში ხოჯაც აჰყოლია. ამაზე ხალხი ძლიერ გაკვირვებულა და ერთს უთქვამს,—ხოჯა! აკი თქვენ ამბობდით, რომ გურჯულის მღერა ცოდვა არისო? თქვენც კარგად იმღერეთ ჩვენთანო!?

— ყანაში მუშაობის დროს არა უშავს-რა ქართულს, მიტომ რომ ჩვენები თათრულს ასე ვერ აწყობენო,—მიუგო ხოჯამ. ეს ხოჯა მეტად ფანატიკოსია თურმე, სტამბოლში გაზრდილი, ტომით ქართველი, მოძულე ქართველთა, სოფ. კიბეში სცხოვრობს. მუშებმა სთქვეს:

— ასე ყოფილაო, როცა მაგათთვის ვმუშაობთ, მაშინ თუ ვიმღერეთ, ცოდვა არა ყოფილაო და როცა ჩვენთვის, მაშინ-კი დიდი ცოდვა არისო.

მურღულის ერის ასეთმა მოწყვეტამ და განკერძოებულმა მდგომარეობამ ერთობ ცუდად იმოქმედა მათზე და ბოლოს ესენი ისე განადირდნენ, ისე გაველურდნენ, რომ თვით ოსმალოს მთავრობაც-კი მიავიწყდათ და მარტოდ შეიხ-ისლამი აგონდებოდათ.

ძველად, ჩვენის მეფეების დროს, მურღულთ ქიზიყელებივით გამგე ჰყოლიათ. თავად-აზნაურობაცა ყოფილა აქ, მაგრამ ბატონ-ყმობისაგან მეფეების დროსვე განთავისუფლებულა გლეხობა, ისე რომ თავად-აზნაურობას არავითარი ძალა არა ჰქონია.

ზ. ქ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ერთი დიდის მამულის პატრონთაგანი რუსეთში, პ. ა. შრედერი ევროპაში წასულა იმ აზრით, რომ ჭირნახულის უმთავრესი ბაზრები დაათვალიეროს გენუას, მარსელს, ლონდონსა და ჰამბურგში და საქმე ისე მოაწყოს, რომ ჭირნახული რუსეთიდგან პირდაპირ ამ ბაზრებზედ იგზავნებოდეს, რათა მომხმარებელს თვით შეეძლოს ხორბლეულის ყიდვა მწარმოებლისაგან, უშუამავლოდ. ბ-ნს შრედერს ხორბლის ნიმუშებიც წაუღია. უკეთუ ბ-ნმა შრედერმა თავის წადილის აღსრულება გაიადვილა და ევროპის ფირმებთან მტკიცედ დაიჭირა საქმე, მაშინ ნაყოფს თავის მეცადინეობისას სხვა მემამულეთაც განუზიარებს: დააარსებს საზოგადოებას, რომელმაც თავის წევრთა მოსავალი პირდაპირ საზღვარ გარედ უნდა ჰგზავნოს და იქა ჰყიდოს თავის საგენტოების-მიერ, მაზანდის კვალობაზე.

გაზეთ Русс. Жизнь-ს ძალიან მოსწონს ბ-ნ შრედერის მეცადინეობა, რომლის შედეგსაც მოუთმენლად ელის თურმე არა ერთი და ორი მემამულე სამხრეთ-რუსეთისა, და, სხვათა შორის, ამბობს:

იმის წინააღმდეგს ვერავინ იტყვის, რომ, თუ ეს აზრი განხორციელებულ იქმნა და საქმე რიგიანად მოეწყო, მწარმოებელი, დიდის მოსავლის პატრონი თუ მცირესი, განთავისუფლდება მრავალ დალალთა, მაკლერთა და კომისიონერთაგან—ამ მუქთა-მჭამელთა აღურიცხველ გუნდისაგან, რომელიც არცა სთესს, არცა მკის და მაინც კარგს მოსავალს-კი აგროვებს.

აღარავისთვის საეჭვო არ არის და კარგადაც გამოირკვა რუსულ მწერლობაში, რომ შუამავალი ორსავე მხარეს ჰყვლეფავს, გამსყიდველსაცა და მყიდველსაც; ხშირად თავის პირსაცა სტეხს, მაგალითად, თუ მაზანდა დაეცა და დაკვეთილ საქონლის წაღება ხელს აღარ აძლევს. ამით მწარმოებელს, რასაკვირველია, დიდს ზარალს აძლევს, რადგანაც მოსავალი დიდს ხანს გაუყიდავი რჩება. ამას გარდა შუამავალი ხორბალს მრავალ ნაირ ხრიკებით აძვირებს, როცა ეს მისთვის სახეიროა. შუამავალი თავის გასამრჯელოდ ასის თავს ანუ ათის თავს იღებს და ამ გასამრჯელოს მყიდველსაც ახდევინებს და გამყიდველსაცა. ამიტომ მისთვის სახეიროა, როცა ერთი და იგივე საქონელი რავდენჯერმე გაიყიდება, ფასი თანდათან მატულობს და დალალ-შუამავლის გასამრჯელოც იზრდება.

ამ ნაირად მწარმოებლისა და შუამავლის ინტერესი ერთმანეთს ეწინააღმდეგება: ერთს უნდა ჩქარა გაასაღოს ჭირნახული; მეორე კი სცდილობს ათას ნაირად შეაფერხოს ხორბლის გატანა და პირდაპირ მომხმარებლისათვის მიწოდება, ხელი შეუშალოს რომ ამასობაში ხელი კარგად მოითბოს.

ამისთვის ბ-ნ შრედერის მეცადინეობა დიდად საყურადღებოა და მისი დამთავრება ყველა მწარმოებლისთვის სანატრელი.

ხოლო, ამბობს იგივე გაზეთი, საჭიროა ამ საქმეში ყურადღება მიექცეს

არა მარტო დიდ მამულის პატრონთა ინტერესებს, არამედ ხელ-მოკლე მწარმოებელთაც—გლეხთა, რომლებსაც ამ ჟამად აუარებელი დალალ-ჩარჩი ახვევია, მრავალ გვარ ხრიკით აცლის ხელიდგან ნაწვავ-ნადაგს და მერე ერთი ასადა ჰყიდის. ვიდრე ამ საწყალ მწარმოებელთა საქმეც რიგიანად არ მოეწყობა, საეჭვოა რამე გააკეთონ თავის სასარგებლოდ დიდის მამულის პატრონებმა, ამხანაგობაც რომ დააწესონ. გლეხთა ჭირნახულის სიიაფე, აუცილებლად ყოველთვის ფასს დასწევს და ეს ხომ დიდის მამულების პატრონთათვის საზარალოა. ან საერთოდ უნდა გაკეთდეს საქმე ყველა მწარმოებელთათვის, განურჩევლად წოდებისა და შეძლებისა, ან არა და, რაკი მათი ინტერესები ერთმანერთს შეეხლება, ყოველივე მეცადინეობა ამაოდ ჩაივლის, და ჩარჩ-დალალების ბატონობას თავს ვერ დავაღწევთ.

## წვრილი ამბავი

შეერთებულ შტატებში მაჰყვეს ხელი ევროპიელებმა და უმოწყალოდა ჰკაფეს ტყეები: ეს სახნავ სათესადაო, ეს სახლეზოსთვისაო, შეშა და სხ. ამერიკელებმა ამ საქმეში იმოდენა ენერგია გამოიჩინეს, რომ ეხლა თვითონვე იცემენ თავში და შეუდგნენ ხელმეორედ ტყის გაშენებას.

ამისთვის 1872 წელს შეერთებულ შტატებში დაარსდა „ხეების მეგობართა საზოგადოება“. ამ საზოგადოებას დაარსებიდამ აქამომდე 355 მილიონი ხე და ხეხილი დაურგავს. ეს პირველი საზოგადოება ნებრასკის შტატში შესდგა. ხოლო მალე გამოუჩნდნენ მიმბაძავნი და 37 შტატთა კავშირმა და კანადის ოლქმა დაიარსეს ამგვარივე საზოგადოებანი. არც თუ ევროპას დასძრახავდა გულს მათი წაბაძვა და აი 1891 წელს საფრანგეთშიაც შესდგა „საზოგადოება ხეების მეგობართა“. ამ ჟამად ამ საზოგადოებას 500 წევრი ჰყავს. ეს საზოგადოება პატარა და კოპწია ქალაქშია—ნანცაში. საწევრო გადასახადი 2 ფრანკია და 5 ხის დარგვა.

— ერთს პროფესორს ბერლინში ერთი საყურადღებო ოპერაცია გაუკეთებია. 35 წლის კაცი ვაგონ ქვეშ ჩავარდნილიყო, ერთი ფეხი მუხლის სახსართან მოეგლიჯა მეორე-კი უფრო ზემოდ. დაშავებული მთლად სისხლით დაიცალა და საავადმყოფოში მიყვანისას მაჯა ოდნავ-ღა უცემდა თურმე. მაჯის ძარღვები გაუჭრეს ორთავ ხელებზედ და შეუშხაპუნეს მარილ-წყალი. მაჯის ცემა და სუნთქვა ჩვეულებრივი დაუბრუნდა, მაგრამ ჯერ ძლიერ სუსტად იყო და გონება ვერ მოეკრიბა. მარილ-წყალს უშხაპუნებდნენ და რამდენადაც მარილ-წყალი უჯდებოდა ტანში იმდენად ავადმყოფი უკეთ ხდებოდა და ბოლოს გონს მოვიდა. რიგად მარილ-წყალმა თითქოს სისხლის მაგიერობა გაუწია.

— ინგლისში 16 წლის ყმაწვილმა, რომელსაც შინ არავინ იყო, მოჰკლა ცულით პატარა ძმა 2½ წლისა და პოლიციაში თვითონვე გამოაცხადა, „მე ძმა მოვკალიო“. პოლიციამ, რასაკვირველია, დააპატიმრა დამნაშავე. სასამართლოში დამნაშავემ, გვარად კუკიმ, განაცხადა: „სიცოცხლე მომბეზრდა... თავის მოკვლა ვერ გავბედე და ჩემი ძმა მოვკალ, ეგებ სიკვდილით დამსაჯონო“... მშობლები და ვექილი ამბობდნენ მკვლელობის დროს ჭკუაზედ შეშლილა, თორემ ისე მშვიდი, წყნარი და მოსიყვარულე იყოო. ამ სიტყვებზედ ახალგაზდა დამნაშავეს გული აუდუღდა და თვალთაგან კაკლის სიმსხო ცრემლი ჩამოსცვივდა ღაპა-ღუპით. სასამართლომ არ შეიწყნარა ვექილის გამოსარჩლება და კუკს სიკვდილი მიუსაჯა.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესადა გთხოვთ ეს ფული—106. მანეთი და 25 კაპ.—გადასცეთ ტფილისის სააზნაურო სკოლის გამგე კომიტეტს, ღარიბ ქართველ სტუდენტების შესახმარებლად და ამასთანავე გამოაცხადოთ ეს ანგარიში.

სოფელ ხაშურში ქართულ სცენის მოყვარულთ გამართეს ორი წარმოდგენა ქართველ ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ, 24 და 25 მკათათვეს. (შაბათსა და კვირას). შაბათს წარმოდგენილი იყო: „დედა და-შვილი“ პოემა თ. ილია ჭავჭავაძისა და ვ. გუნიას ორი ვოდევილი: „არც აქეთ, არც იქით“ და „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“. ამ წარმოდგენაზედ ბილეთები გაიყიდა 64 მანეთისა და 50-კაპ. კვირას, 25-ს რიცხვს წარმოადგინეს გ. ნ. სუნდუკიანცის კომედია „პეპო“; ამ წარმოდგენაზედ ბილეთები გაიყიდა 126. მანეთისა და 15 კაპ. ორივე წარმოდგენიდან ავიღეთ 190 მანეთი და 65-კაპეიკი. ამ ფულიდან დაიხარჯა: თეატრის პატრონს ორის წარმოდგენისა—50 მ. მოწვეულ არტისტის გზის ხარჯად 6 მანეთი; თექვსმეტი ქალ-კაცის მისვლა-მოსვლა წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად სტანცია ვარვარინოსა და ხაშურს შუა და ამათი ხარჯი ჭამასმაზედ 12 მ. 50 კ. თბილისიდან მოწვეულს პარიკმახერს ორის წარმოდგენისა მიეცა 13 მანეთი და 40 კაპ. აფიშები და ბილეთები 6 მ. ტანისამოსის ქირა 4 მ.; წესიერების დამცველ ჩაფარს 1 მ. ზურნას 1 მანეთი, სულ 94 მანეთი და 20 კაპ. წმინდა მოგება დარჩა 106 მანეთი და 25 კაპ., რა ფულსაც ამ ანგარიშთანვე გიგზავნით.

ვალად ვრაცხ ჩემ თავს, თქვენის გაზეთის საშუალებით, გულითადი მადლობა გადაუხადო იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ ორს წარმოდგენაში, ქალებს: ნ. ბ. ყიფიანისას, ნ. ს. ყიფიანისას, ნ. ი. ყიფიანისას, მ. ს. ციმაკურიძისას, და მ. ი. ქართველიშვილისას; და კაცებს: ლ. ა. ყიფიანს, ს. ვ. ყიფიანს, ა. მ. ციმაკურიძეს, მ. ი. ყუბანიევს, ა. ზ. და ვ. ზ. თურქისტანიშვილებს, გ. ვ. გედევანოვს და თ. ვ. ნ. დიასამიძეს, რომელმაც საუცხოოდ წაიკითხა აკაკის რამდენიმე ლექსი; აგრედვე მადლობას უხდი ე. ნათაძეს, თადარიგის მიმცემს, და ადგილობრივს პოლიციის ბოქაულს მ. ი. ტერ-აკოპოვს ღირს ყურადღების მოქცევისათვის, ე. ი. ყიფიანისას და მეტადრე ვ. თუხარელს ბილეთების გავრცელებისათვის.

წარმოდგენების გამგე კოტე ყიფიანი

P. S. უმორჩილესად ვთხოვ „ივერიის“ რედაქციას გადასცეს ტფილისის სააზნაურო სკოლის გამგე კომიტეტს, რომ ზემო-დასახელებულთ გარდასწყვიტეს ამ ფულიდან გაეგზავნოს 30 მან. ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტს გიორგი ზაქარიას ძეს თურქისტანიშვილს და დანარჩენი ფული-კი კომიტეტმა მოიხმაროს ისე, როგორც ამჯობინებს, და გვაცნობოს ჩვენ ამისი პასუხი.

კოტე ყიფიანი

1893. წ. მარიამობის თვის 2-ს დღესა. სოფ. ქვიშხეთი.

## დეპეშა

7 აგვისტო

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრმა გადასწყვიტა, 1893 წლის 1 სექტემბრიდგან აკრძალოს რუსეთის იმპერიაში უცხოეთიდგან ყოველ გვარ ვერცხლის ფულის მოტანა.

**ლონდონი.** გუშინა და დღეს ვალის სამეფოს ზოგიერთ ადგილებში მადნების მუშებმა უწესოება მოახდინეს: ამ ადგილებს გარს შემოარტყეს პოლიცია და ჯარი.

ალდეშტენიდგან დღეს საგანგებო მატარებლით გაიგზავნა კარდიფსა და ნიუპორტში 2,000 კაცი ქვეითა ჯარისა და 1,000 მხედარი, წესიერების აღსადგენად; პლიმუტიდგანაც 1000 კაცი იგზავნება ქვეითა ჯარისა.

საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა სთქვა, ორშაბათს მოვითხოვ თქვენგან დებულებას შესახებ იმისა, რომ ირლანდიის ბილლის განხილვა სრულიად გათავებულ იქმნას მომავალ პარასკევსაო. ჩემბერლენმა სთქვა, გლადსტონის თხოვნა იმასა ნიშნავს, რომ საზოგადოებათა პალატა გადააქციეთ კენჭის მოკრეფის მანქანადაო.

8 აგვისტო.

**ლონდონი.** პონტიპრიდის ოლქში გაფიცული მუშები ძლიერ ემუქრებიან იმათ, ვინც მათ არ მიემხრო და მუშაობაზედ ხელი არ აიღო. შიშობენ, ჩხუბი არ მოუვიდეთო. ამბავი მოვიდა, რომ მერტირში უწესოება დაიწყო; ხალხს მაღლა წაუკითხეს ის კანონი, რომლის ძალითაც დასჯილ იქმნებიან უწეოების ჩამდენნი.

**პარიჟი.** ეგ-მორტიდგან იუწყებიან, რომ მრავალმა მუშამ მუშაობას მოჰკიდა ხელი; ჯარი მაინც თვალყურს ადევნებს მუშებს.

**რომი.** ეგ-მორტში საფრანგეთის და იტალიელ მუშებ შორის მომხდარ ჩხუბის გამო, გუშინ დიდი მანიფესტაციები გაიმართა საფრანგეთის საელჩოსა და საფრანგეთისავე სამღვდელოების სასწავლებლის წინა.

პეტერბურგის ბირჟა, 3 აგვისტო

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,74 | 7,77 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 154½ | 155½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 225½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | 194¼ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა 6%. . . . . . | 101½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 101½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98¾ |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

[illegible]: [illegible] 4 საათზე გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დილით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: სადამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დილით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დილით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—84)


„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| ეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| ˮ დრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი გრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მევლე, მისივე. . . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა | „ | 30 |
| ნაკვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| სამი ცელქ, საყმაწვილო სურათეიანი წიგნი შ. მღვიმელისაბი . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . . | 1 | „ |
| ჰამლეტი, მისივე . . . | „ | 30 |
| მაკბეტი, მისივე . . . | „ | 40 |
| რიჩარდ მესამე, მისივე. . | „ | 40 |
| მეფე ლირი, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისა. . . . . | „ | 60 |
| [illegible] | „ | 30 |
| პატარა კახი აკ. წერეთლისა. . . . . . . | „ | 50 |
| სამგვარი სიყვარული, მისივე . . . . . . . | „ | 30 |
| სალამური, მისივე . . . | „ | 15 |
| ძირითადი უკულმართობა, ი. გოგებაშვილისა . . | „ | 20 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| ბაგრატ IV მისივე . . . | „ | 20 |
| ვახტანგ VI მისივე . . | „ | 15 |
| მიტრიდატ დიდი, პონტის მეფე, მისივე . . . | „ | 10 |
| მირიან მეფე და წმ. ნინო, მისივე . . . . . . | „ | 10 |
| ქართველი ქალები, მისივე . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ქრონიკა, ე. თაყაიშვილისა . . | 1 | „ |
| წმ. ნინოს ცხოვრება, მისივე | „ | 40 |
| ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად, ანუ გიორგი სააკაძე, ან. ფურცელაძისა . . . . . . . | 1 | 20 |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| თამარ მეფე, დ. კარიჭაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| გუჯრები, ალ. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| ასპინძის ომი, ი. გოგებაშვილისა . . . . . | „ | 10 |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა I ნაწ. სამცხე, გამოც. მ. ჯანაშვილისა . | „ | 25 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა . . . . . | „ | 20 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა, მისივე . . . . . . | „ | 50 |
| მგლის დება, მისივე . . | „ | 25 |
| მოკლე საყოველთაო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს საეკლესიო ისტორია მ. ჯანაშვილისა | „ | 45 |

ქ. ტფილისის მართ-მადიდებელთა კუკიის სასაფლაოს, მოციქულთა სწორ წმ. ნინოს ეკლესიის აშენებელ სამზრუნველომ, შემოავლო-რა ამ მდგომარე წელს სასაფლაოს ქვით-კირის გალავანი, განიზრახა აგოს სასაფლაოს ეკლესიაც, ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სამშენებლო-მომქმედო განყოფილების გეგმის თანხმად. ამ ეკლესიის აშენება ვარაუდით დაჯდება 14 ათას მანათზედ მეტი.

ვინაიდგან სამზრუნველოს არ მოეპოვება ტაძრის ასაგები ფული, მიჰმართავს ყველას, ვინც-კი თანაუგრძნობს ამ სასაფლაოს განკარგების საქმეს, არ დაიშუროს თავისი წვლილის შეწირვა და მით მისცეს სამზრუნველოს საღსარი ეკლესის აგებისა.

მზრუნველობა სთხოვს ყველას, შემოწირულება გაუგზავნოს სამზრუნველოს წევრ-ხაზინადარს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ალექსი ანტონის ძეს სმენნიკოვს, ამ ადრესით: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 44, ან იმისავე სახლობაზედ მთავარ-მართებლის კანცელარიის სამხედრო ოლქთა გამგეობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ.

დაიბეჭდა და ისყიდება

**შინაური საქონელი**

და

მისი გონიერი მოვლა-მოშენება.

ივ. როსტომაშვილის მიერ.

გამოცემა

წერა-კითხვის გამავ. საზოგადოებისა.

ფასი ერთი შაური


## მამოსადეგი წნოვანი
## პირველი კერძო საავადმყოფო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაში ტკივილებისა.

ჩ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი საავადმყოფოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




ჟ. რალლე და კომპ.

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

აპონური საპონი
„მუსმე“

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.

სასაპარელო ესსენცია კოლბერისა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამოჭრილი ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.